



ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia



გერმანიის
თანამშრომლობა
DEUTSCHE ZUSAMMENARBEIT

KFW



აჭარის წყლის
ალიანსი

აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამა

საინფორმაციო ბიულეტენი #4
ოქტომბერი, 2020 წელი

ბიომრავალფეროვნების კვლევები და მათი მნიშვნელობა

ჩვენი არსებობა და კეთილდღეობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ბუნებისგან მოწოდებულ პროდუქტებსა და სერვისებზე. ბიომრავალფეროვნება ჩვენი ბუნებრივი კაპიტალია, რომლის შენარჩუნება ქვეყნის მდგრადი განვითარების პროცესის განუყოფელი ნაწილია.

აჭარის დაბების და სოფლების წყალმომარაგების და წყალარინების პროგრამის ერთ-ერთ ფუნდამენტურ მიზანს, აჭარაში გარემოს დაცვა და ბუნებაზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირებაა. გარემოს დაცვისა და კონსერვაციის მიზნით, აჭარის სოფლებში, სადაც წყლის და წყალარინების რეაბილიტაციაა დაგეგმილი, ბიომრავალფეროვნების კვლევები ჩატარდა.

ბიომრავალფეროვნების კვლევის ფარგლებში, გამოკვლეული იქნა დაცული, ენდემური, იშვიათი და სხვადასხვა სტატუსის მქონე ცოცხალი ორგანიზმების არსებობა სამშენებლო არეალში, დაგეგმილი სამუშაოების ზემოქმედების შეფასების და პრევენციული ღონისძიებების გატარების მიზნით.

აღსანიშნავია, რომ აჭარაში მსგავსი კვლევები არ განხორციელებულა, რაც უფრო მეტ სტიმულს გვაძლევს შესაბამის მონაცემთა ბაზის შექმნისა და შემარბილებელი ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების მიზნით. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენ ვართ პიონერები ესოდენ მნიშვნელოვანი წამოწყების კუთხით.




სახეობებისა და ჰაბიტატების მრავალფეროვნებისა და გლობალური მნიშვნელობის ეკოსისტემების გავრცელების გამო, საქართველოს ტერიტორია შეტანილია ბუნების დაცვის პრიორიტეტული ადგილების ნუსხაში. ქვეყნის მრავალფეროვნების ინდექსი რეგიონების უნიკალურობითაა განპირობებული, სადაც აჭარა გამორჩეულ ადგილს იკავებს.

აღნიშნულის გათვალისწინებით, პროექტისთვის მნიშვნელოვანია აჭარის რეგიონის ბიომრავალფეროვნება არ აღმოჩნდეს საფრთხის წინაშე. საერთაშორისო სტანდარტების დაცვით, პროექტის ფარგლებში ჩვენ ვატარებთ ბიომრავალფეროვნების კვლევას ყველგან, სადაც შესაძლოა წარმოიშვას უარყოფითი გავლენის რისკი.

კვლევები ხორციელდება პროექტირების ადრეულ ეტაპზე, რათა მოხდეს დასკვნებისა და რეკომენდაციების სათანადო ინტეგრირება საბოლოო საპროექტო დოკუმენტში. ეს საშუალებას გვაძლევს, რომ ბიომრავალფეროვნებაზე ზეგავლენა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი.

2020 წლის ივლისსა და აგვისტოში, ბიომრავალფეროვნების პირველი კვლევები ჩატარდა შემდეგ სოფლებში: ქვედა ვაშლოვანი, ოქრუაშვილები, დუაძეები, ტიბეთა და კირნათი.

სოფელ ქვემო ვაშლოვანში, ოთხი ენდემური სახეობა (*Astragalus adzharricus*, *Amaracus rotundifolius*, *Anthemis woronowii* and *Euphorbia pontica*) იქნა აღმოჩენილი საპროექტო არეალის დერეფნაში, რომელიც გადაინერგება. რაც შეეხება ხმელეთის ფაუნას, სოფელ კირნათში დაფიქსირა კავკასიური სალამანდრა (*Mertensiella caucasica*), რომელიც ბუნების დაცვის საერთაშორისო გაერთიანებისა და საქართველოს წითელ ნუსხაშია შესული. სოფელ ტიბეთაში აღმოჩენილ იქნა საქართველოს წითელი ნუსხის სახეობა - ყავისფერი კალმახი (*Salmo trutta fario*). აღნიშნულ სახეობებზე შესაძლო უარყოფითი ზეგავლენის შესამცირებლად, წყალაღებისას გათვალისწინებული იქნება მინიმალური ეკოლოგიური ნაკადი, მინიმუმ 10%-ის ოდენობით. (აღნიშნული მნიშვნელოვანია რათა თევზისთვის არ შეიზღუდოს სასიცოცხლო მნიშვნელოვანი ფუნქციები)



აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამა თანადაფინანსებულია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მიერ, KfW ბანკის მეშვეობით და ევროკავშირის მიერ გამოყოფილი ფულადი სახსრებით. პროგრამა მიზნად ისახავს აჭარის ყველა მუნიციპალიტეტში შეიქმნას თანამედროვე სტანდარტების წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემები.

აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამას სს „აჭარის წყლის ალიანსი“ ახორციელებს. პროგრამა მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს სოფლის მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის, ზოგადი ჰიგიენისა და ჯანმრთელობის გაუმჯობესებაში. პროგრამა უზრუნველყოფს გარემოს დაცვას ჩამდინარე წყლებით დაბინძურების თავიდან არიდების გზით. ასევე, თავიდან იქნება არიდებული ნიადაგისა და წყლის რესურსების დაბინძურება გაუნმენდავი ჩამდინარე წყლების ჩაშვებით. აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამა, თვისებრივად პირველია საქართველოში რომელიც წყლისა და წყალარინების ინფრასტრუქტურის განვითარების ორგანიზებას ახდენს რეგიონის სოფლებში.



FICHTNER



ეს საინფორმაციო ბიულეტენი შექმნილია ევროკავშირის და გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია სს „აჭარის წყლის ალიანსი“ და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის და გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკის შეხედულებებს.

K. Gamsakhurdia str., Batumi, Georgia
+995 422 27 86 86
info@awa.ge
www.awa.ge

Ajara Rural Water and Wastewater Treatment Programme

Newsletter N4
2020 October

The Importance of Biodiversity Researches

Our existence and well-being depend massively on the products and services provided by nature. Biodiversity is our natural capital, the preservation of which is an integral part of the country's sustainable development process.

One of the fundamental goals of the Rural Ajara Water Supply and Wastewater Treatment Program is to protect the environment in Ajara and reduce the negative impacts on nature.

In order to protect the environment and conserve it, biodiversity studies were conducted in the villages of Ajara, where the rehabilitation of the water and wastewater systems is planned.

Within the biodiversity study, the presence of protected, endemic, rare and of living organisms with other different statuses in the construction site was investigated to assess the impact of the planned works and to take preventive measures.

It is noteworthy that no similar studies had been conducted in Ajara, which gives us more incentive to create an appropriate database and to plan and implement mitigation measures. We can confidently say that we are pioneers in terms of such an important initiative.


Due to its species and habitat variety, as well as globally important ecosystems, Georgia is included in the list of nature conservation priority areas. The country's diversity index is certainly owed to the uniqueness of its regions, among which Ajara holds a distinguished place.

Having all this in mind, it is of utmost importance for this Program and any further developments in Ajara not to put its precious biodiversity at risk. In accordance with international standards, we conduct biodiversity studies wherever negative impacts may arise.

The studies are done early on in the design process, so that their conclusions and recommendations can be duly integrated into the final project design, making sure that the impact on biodiversity is kept at a minimum.

In July and August 2020, the first biodiversity surveys were conducted in the villages: Lower Vashlovani, Duadzeebi, Okruashvilebi, Kirnati and Tibeta.

Four endemic plant species were observed in Lower Vashlovani (*Astragalus adzharicus*, *Amaracus rotundifolius*, *Anthemis woronowii* and *Euphorbia pontica*) along the planned project corridor, which will be replanted. As for terrestrial fauna, IUCN and Georgian Red List specie, the Caucasian salamander (*Mertensiella caucasica*), was identified in the village Kirnati. In Tibeta, the Georgian Red List specie Brown trout (*Salmo trutta fario*) was found. To mitigate potential negative effects on these species, a minimum ecological flow in the intended water sources of at least 10 % will be kept.



General Information for any Informative Bulletin

"Rural Water Supply and Waste Water Treatment Programme-Ajara" is co-financed by the German Federal Republic Government through the KfW Development Bank and the EU funds.

The Programme aims to create the modern standard water supply and waster water treatment systems in all municipalities of Ajara. "Rural Water Supply and Waste Water Treatment Programme-Ajara" is being implemented by the JSC "Ajara Water Alliance".

The mentioned Programme will have an essential contribution to the improvement of the level of life, health and the hygiene in general for the citizens of the villages in Ajara as the Programme will keep the environment safe through avoiding contamination and pollution of the environment and water bodies by directly discharged effluent.

The content of the Programme "Rural Water Supply and Waste Water Treatment Programme-Ajara" is the unique in Georgia with its potential to influence the water supply and waste water infrastructure development in the villages of the region.